



სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის

ბრძანება N 2-18

2018 წლის 16 იანვარი

თბილისი

სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის ელექტრონული სარეგისტრაციო სისტემის  
მოხმარების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 52-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების საერთაშორისო ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის N180/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის დებულების მე-4 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის (შემდგომში „ცენტრი“) ელექტრონული სარეგისტრაციო სისტემის მოხმარების წესი დანართი №1-ის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ელექტრონული სარეგისტრაციო სისტემის მოხმარების წესის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს ცენტრის ვებ გვერდზე.
3. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციულ სამსახურს ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა.
4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

აღმასრულებელი დირექტორი

ნინო ჭელიძე



**სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის ელექტრონული სარეგისტრაციო სისტემის მოხმარების წესი**

1. სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის ელექტრონული სარეგისტრაციო სისტემის მოხმარების წესის მიზანი და ფუნქციონირების უზრუნველყოფა

1.1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ელექტრონული სარეგისტრაციო სისტემის (შემდგომში - ელექტრონული სისტემა), მისი ადმინისტრირების გვერდისა და შეფასების სისტემის მოხმარების წესს.

1.2. ცენტრის ელექტრონული სისტემის, მისი ადმინისტრირების გვერდისა და შეფასების სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ანალიტიკური სამსახური.

2. კონკურსანტის ელექტრონული სისტემა და საკონკურსო განაცხადის შევსების წესი

2.1. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსანტი რეგისტრირდება ცენტრის ოფიციალურ ვებ გვერდზე არსებულ ელექტრონულ სისტემაში <https://app.iec.gov.ge/>.

2.2. ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის შემდეგ კონკურსანტი დამოუკიდებლად ავსებს ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი სასტიპენდიო/საგრანტო პროგრამისთვის განთავსებულ ელექტრონულ განაცხადს (შემდგომში - განაცხადი) და ტვირთავს დოკუმენტაციას.

2.3. დოკუმენტაციის ატვირთვა შესაძლებელია განაცხადში თემატურად შედგენილ გვერდებსა და ველებში.

2.4. კონკურსანტმა განაცხადი უნდა შეავსოს სრულყოფილად, სასტიპენდიო/საგრანტო პროგრამით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

2.5. განაცხადში „სავალდებულო“ ველის შევსებისა და დოკუმენტის ატვირთვის გარეშე კონკურსანტი ვერ შეძლებს განაცხადის გადაგზავნას. კონკურსანტი ვალდებულია ასევე შეავსოს „არასავალდებულო“ ველები სასტიპენდიო/საგრანტო პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგინოს სრულყოფილი განაცხადი.

2.6. კონკურსანტი თავად არის პასუხისმგებელი განაცხადის სასტიპენდიო/საგრანტო პროგრამით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად სრულყოფილად შევსებასა და წარმოდგენაზე.

2.7. ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის შევსება, დოკუმენტის ატვირთვა, დამახსოვრება, რედაქტირება შესაძლებელია საკონკურსო ვადის ამოწურვამდე, იმ შემთხვევაშიც კი თუ განაცხადში ცვლილება არ განხორციელებულა რედაქტირების რეჟიმში მყოფი განაცხადი საჭიროებს ხელმეორედ გადმოგზავნას. განმეორებით გადმოგზავნის გარეშე რედაქტირების რეჟიმში მყოფი განაცხადი წარმოდგენილად არ განიხილება.

2.8. ელექტრონულ სისტემაში რეკომენდაციის წარმოდგენა რეკომენდატორის მიერ ხდება ელექტრონულად, თუ შესაბამისი პროგრამით სხვა რამ არ არის დადგენილი. კონკურსანტს

აქვს წვდომა მის სარეკომენდაციო წერილზე/შინაარსზე. თუ სასტიპენდიო/საგრანტო პროგრამის მოთხოვნების მიხედვით რეკომენდაცია ითვლება სავალდებულოდ წარმოსადგენ დოკუმენტად, კონკურსანტი განაცხადის გადმოგზავნას რეკომენდაციის გარეშე ვერ შეძლებს. რეკომენდაციის კითხვარის და ტექსტური ველის შევსება შესაძლებელია კონკურსანტის განაცხადიდან ელექტრონული ბმულის მიღების შემდგომ. განაცხადის ელექტრონული ბმული ავტომატურად იწარმოება ელექტრონული სისტემის მიერ, მას შემდეგ რაც კონკურსანტი რეკომენდატორის მონაცემებსა და ელ.ფოსტას შეიტანს სისტემაში. რეკომენდატორის მიერ რეკომენდაციის დროულად წარმოდგენის უზრუნველყოფა კონკურსანტის ვალდებულებაა.

2.9. განაცხადი წარმოდგენილად ითვლება კონკურსანტის მიერ ელექტრონულ სისტემაში გადმოგზავნის შემდგომ.

### 3. ცენტრის თანამშრომლის სისტემა

3.1. ცენტრის თანამშრომლის მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილი განაცხადების დათვალიერება, დამუშავება და კონკურსის ჩატარების მიზნით შესაბამისი მოქმედებების შესრულება შესაძლებელია ადმინისტრირების გვერდის ელექტრონულ მისამართზე <http://admin.iec.gov.ge/>.

3.2. აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე წვდომა აქვს ცენტრის შესაბამისი სამსახურის თანამშრომელს სპეციალური დაშვებით. ადმინისტრირების გვერდზე დაშვებას უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ანალიტიკური სამსახური ცენტრის წარდგინებით.

3.3. ადმინისტრირების გვერდზე შესაბამისი დაშვების მქონე ცენტრის თანამშრომელს შეუძლია წარმოდგენილი განაცხადების დათვალიერება, სასტიპენდიო/საგრანტო პროგრამით დადგენილი წესით შემოწმება/შეფასება, ქულის მინიჭება, აგრეთვე, სტატუსის მინიჭება/ცვლილება და საკონკურსო და შემდგომი ადმინისტრირების მიზნით სხვა მოქმედებების შესრულება.

### 4. ცენტრის კომისიის წევრის სისტემა

4.1. შესაბამისი სასტიპენდიო/საგრანტო პროგრამის კონკურსში გამარჯვებულის გამოსავლენად განაცხადის შეფასებას აწარმოებს სასტიპენდიო/საგრანტო პროგრამის განხორციელების მიზნით შექმნილი კომისია შეფასების სისტემის შემდეგ ელექტრონულ მისამართზე <http://eval.iec.gov.ge/>.

4.2. კომისიის წევრი სარგებლობს შეფასების სისტემის ინდივიდუალური გვერდით, რომელზეც წვდომა აქვს პერსონალური მომხმარებლითა და პაროლით. კომისიის წევრს სისტემაში დაშვებას აძლევს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ანალიტიკური სამსახური ცენტრის წარდგინებით.

4.3. კომისიის წევრი ელექტრონული განაცხადის შეფასებას აწარმოებს სასტიპენდიო/საგრანტო პროგრამით დადგენილი წესით შემუშავებული და დამტკიცებული შეფასების ფორმით, რომელიც ასახულია შეფასების სისტემაში.

4.4. კომისიის წევრისთვის შეფასების მიზნით ხელმისაწვდომია მხოლოდ შესაბამისი სასტიკუნდიო/საგრანტო პროგრამის საკონკურსო მოთხოვნებთან ფორმალურად შესაბამისი განაცხადი, რომელსაც მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი.

4.5. კომისიის წევრს არ აქვს წვდომა კომისიის სხვა წევრების შეფასების გვერდზე და შეფასების მიზნით განხორციელებულ მოქმედებებზე.